გილოცავთ შობა-ახალი წელს!

ახალი

ჯარიანი

„მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

ჯარიანი

85 წელი თქვენთან ერთად!

2016 წელი 30 დეკემბერი № 12 № 8117

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com



ბატონებო და ქალბატონებო,
ძვირფასო თანარაიონელებო,
ჩემო კასპელებო!

გილოცავთ კარს მომდგარ, ახალ 2017 წლის მობრძანებას. მშვიდობა, სიკეთე და სამშობლოს ერთიანობა დაგვბედებოდეს... ღმერთმა ინებოს ყველა თქვენგანის ოჯახში დამკვიდრდეს სულიერი სიმშვიდე, კეთილდღეობა და მხნეობა. როგორც დიდი ილია ბრძანებდა: "...ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით, ვინც მხნეა, ის ძლიერია." მრავალ ახალ წელს დაგასწროთ გამჩენმა მტკიცე, გაძლიერებულ საქართველოში თქვენს უსაყვარლეს მონაგართან ერთად.

დაგილოცავთ ოჯახის ფუძესა და ჭერს, იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!

გოჩა გოჩიტაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

კასპის მუნიციპალიტეტში სამი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს

ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის დემონტაჟის შემდეგ ახლის მშენებლობა დაიწყო.

შპს "თბილი სახლი" ამჟამად ფუნდამენტის სამუშაოებს ახორციელებს, პროექტის ღირებულება 6 006 910 ლარია.

სოფელ ხოვლეში სკოლის შენობაზე ახალი კორპუსის მიშენება მიმდინარეობს. სკოლას 6 საკლასო ოთახი და სპორტული მოედანი დაემატება. 2 500 000 ლარის ღირებულების სამუშაოებს, რომელიც 2017 წელს უნდა დასრულდეს შპს "ბლოკჯორჯია" ასრულებს.

ახალი სკოლა შენდება სოფელ თვალადშიც, სადაც ავარიული სკოლა საშიშროების შემცველი იყო.

მშენებარე სკოლების მიმდინარე სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მისმა მოადგილემ თეიმურაზ ხიზანაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა მერაბ ჭონიაშვილმა დაათვალიერეს.

ბატონებო და ქალბატონებო!

მინდა მოგილოცოთ კარსმომდგარი შობა-ახალი წელი და გისურვოთ სიხარული, ბედნიერება, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა. ყოველი თქვენგანის ოჯახში დაივანოს სიმშვიდემ და მოთმინებამ, გამძლეობამ, ხვავი და ბარაქა, წარმატებები გქონოდეთ, ამ ახალი წლის მობრძანებას მოეტანოს წინსვლა და გამარჯვება, სურვილების ასრულება,

მრავალჟამიერ!

მანუჩარ მერებაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

გმირულად დაიღუპა აფხაზეთში



ვახტანგ გორგასლის სახელობის ხარისხის ორდენოსანს, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილს 20 დეკემბერს 56 წელი შეუსრულდებოდა.

ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაურის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის

ადგილობრივი ხელმძღვანელები, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლები და ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილი მებრძოლები მის მშობლიურ სოფელ ზემო ხანდაკში იმყოფებოდნენ. მათ, გმირის ქალიშვილთან - თამარ შარიფაშვილთან ერთად გვირგვინით ჯერ გმირის ბიუსტი, შემდეგ კი საფლავი შეამკეს.

ტარიელ შარიფაშვილი ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის პირველი მეთაური, შემდგომ საპატიო მეთაური და კასპის რაიონის გამგებელი 33 წლის ასაკში - 1993 წლის 25 სექტემბერს, სოხუმის დაცვისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა აფხაზეთში.

ძვირფასო თანარაიონელებო!

საქართველოს პარლამენტში ჩემი არჩევის დღიდან სულ უფრო მიძლიერდება პასუხისმგებლობა კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, თითოეული თქვენგანის მიმართ.

გილოცავთ დამდეგ ახალ 2017 წელს! თქვენთან ერთად ვინატრებდი მართლაც, მოხდეს სასიკეთო, ქმედითი გარდატეხა ცხოვრების ყველა სფეროში.

იყვნენ ჩვენი შვილები განათლებულნი, დასაქმებულნი და რეალიზებულნი. ჩემს პირად სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული მაქვს მათთან უშუალო კონტაქტში ვიპოვო მუნიციპალიტეტში ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა და მათი ნიჭი ვაქციოთ ქვეყნის და თითოეული მათი ოჯახის კეთილდღეობად. ვარ ბედნიერი რომ უახლოეს დღეებში მოსახლეობა მოწმე გახდება სასიკეთო სიახლისა. კერძოდ კასპში ვხსნი ბიზნესისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან ერთად ახალგაზრდულ ცენტრს. მისი საშუალებით შესაძლებლობა გვექნება ავამოქმედოთ ნიჭიერი ახალგაზრდების სწრაფი დასაქმების მექანიზმი.

მე მზად ვარ და მაქვს უდიდესი სურვილი მაქსიმალური გულიხმიერებითა და სითბოთი გემსახუროთ, ვემსახურო კასპის მუნიციპალიტეტს და, რა თქმა უნდა, მაქვს თანამშრომლობის დიდი იმედი.

ბატონებო, ახალი 2017 წელი ყოფილიყოს ყველაზე ხვავიანი და ბარაქიანი, მოგვიტანოს კავკასიური ჯანმრთელობა, თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა, წინსვლა.

გილოცავთ ახალი წლის მობრძანებას!

ირაკლი მეზურნიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი.

მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები

სოფელ გარიყულაში სასმელი წყლის მაგისტრალისა და სათავე - ნაგებობის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია გაბიონის და დრენაჟის მოწყობა, რკინა-ბეტონის ჭების რგოლების და პერფორირებული მილის ჩადება, სათავე ნაგებობის შემოღობვა და სხვა სამუშაოები.

სამუშაოებს, რომლის ღირებულება 34 964 ლარია ("სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"), ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "თბილსათბობმშენი" ახორციელებს და დეკემბრის თვეში დაასრულებს.

სოფელ გარიყულას მოსახლეობა მალე სასმელი წყლის დამატებით რესურსს მიიღებს.



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები



კასპის მუნიციპალიტეტში 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე საშუალოდ 70 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

2013 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს გამგეობის, მისი სამსახურების და თვითმმართველი ერთეულების მიერ განხორციელდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოასფალტდა და კეთილმოეწყო სოფელ ოკმის, საქადაგიანოს, კავთისხევის, თვალადის, ეზატის, ზემო ხანდაკის, ხოვლის, თეზის, ფერმის, სასირეთი-თელიანის და ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმთან (სოფ.ხოვლე) მისასვლელ გზებს.

სრულად რეაბილიტირდა და მოასფალტდა იგოეთი-კასპი-ახალქალაქის, გარიყულა-ახალციხე-ნოსტე-მთიულთუბნის და ახალქალაქი-ერთაწმინდა, რკონის შიდა სახელმწიფოებრივი გზები. ამჟამად მიმდინარეობს გოსტიბე - ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

მოიხრეშა - შვიდი ადმინისტრაციული ერთეულის 34 სოფლის შიდა გზა.

ქალაქში მოასფალტდა ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, მირიან მეფის, დადიანის, პაატას, კოჯრის, გრიშაშვილის და თავისუფლების ქუჩები.

აშენდა თემმისხევისა და ახალსოფლის დამაკავშირებელი და კასპში აღმაშენებლის ქუჩაზე, მდინარე ლეხურაზე "წყალსაქაჩთან" მდებარე სამანქანე და საფეხმავლო ახალი ხიდები.

რეაბილიტირდა სოფელ ბარნაბიანთკარის საფეხმავლო და ქვემო გომის მდინარე მტკვარზე დაკიდული ხიდები.

ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა მდინარე ლეხურის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე, რეაბილიტირდა მდინარე ლეხურის ქვედა საყრდენი კედელი.

ქალაქში შესრულდა 2 506 660 ლარის წყალარინების (კანალიზაცია) მოწყობის სამუშაოები.

სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით სამუშაოები ჩატარდა კასპში, ლამისყანაში, ქვემო გომსა და წინარეხში, კავთისხევში, გორაკაში, იგოეთში, ნიგოზასა და ჩობალაურში, ზემოხანდაკში, ხვითსა და ბოჟამში.

ამოიცვალა სოფელ იგოეთიდან კასპში მომავალი სასმელი წყლის აზბოცემენტის მაგისტრალი.

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და სპორტის განვითარების მიზნით კასპში მოეწყო 6 სკვერი ატრაქციონებით, 7 სპორტული მოედანი და ერთი ღია საჭიდაო არენა.

კასპში დასასრულს უახლოვდება სპორტული კომპლექსის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები.

ელექტროფიცირებულია ათეული წლების განმავლობაში ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი სოფლები ცხავერი და გოსტიბე.

ყოველწლიურად იზრდება გარეგანათების ქსელი კასპსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში.

გაზიფიცირდა და მკვებავი მაგისტრალი აშენდა კოდისწყაროს, ქვემო ჭალის, სამთავისის, ლამისყანის, ოკმის, აღაიანის, კავთისხევის, წინარ

*გაგრძელება გვ4.



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ცვლილებები

*გაგრძელება.

ეხის ადმინისტრაციული ერთეულის თითქმის ყველა სოფელში.

დასრულებულია ქვემო გომის, მეტეხის, თელიანის, ახალქალაქის, ახალციხის, დოესის, ხოვლის და ზემო ხანდაკის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების პროექტირება და მიმდინარეობს მკვებავი მაგისტრალის მშენებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობას. სამთავრობო გადაწყვეტილებამ საბავშვო ბაღების სრულად დაფინანსების შესახებ - გაზარდა ბავშვთა კონტინგენტი.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის 26 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სრულად რეაბილიტირდა და ინვენტარით ნაწილობრივ აღიჭურვა ქ. კასპის №1, №2, და №3 საბავშვო ბაღები. სამუშაოები გაგრძელდება 2017 წელსაც.

მუნიციპალიტეტში რეაბილიტირდა 4 საჯარო სკოლა და 1 მრავალპროფილიანი სკოლა - გიმნაზია. სოფელ ხოვლეში აშენდა ახალი საჯარო სკოლა, ამჟამად მიმდინარეობს ახალი სასწავლო კორპუსის მიშენების სამუშაოები.

მიმდინარეობს ქალაქ კასპის №1 და სოფელ თვალადის საჯარო სკოლების მშენებლობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, გაიხსნა 3 ახალი სასოფლო ამბულატორია.

კასპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს მუნიციპალიტეტის გამგეობამ რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი შენობა გადასცა. ასევე მიიღო 3 ახალი სასწრაფო დახმარების ავტომანქანა.

2013 წლიდან ქვეყანაში განხორციელდა მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა და მოსახლეობა სარგებლობს უფასო ჯანდაცვის პროგრამით.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯანდაცვის პროგრამების მიხედვით, დახმარება გაეწია 3283 მოქალაქეს თანხით - 902 589 ლარი.

გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 3600-ზე მეტი ოჯახი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მოეწყო დღის ცენტრი „მომავალი".

მუნიციპალიტეტში კულტურული მომსახურების მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები.

აღდგა სახალხო დღესასწაული „კასპობა", რომელიც 2015 და 2016 წელს ჩატარდა;

რეაბილიტირდა კასპის კულტურის ცენტრის გარე ფასადი, სოფელ კავთისხევის სამუსიკო სკოლა. ქალაქში აღდგენილია საქალაქო ბიბლიოთეკა, კეთილმოეწყო და ახალი ინვენტარით აღიჭურვა კასპის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ კასპის ნაგავსაყრელი მოეწყო თანამედროვე სტანდარტებით.

2014 წლის პირველი ივნისიდან მუნიციპალიტეტის 65 სოფლიდან დაიწყო საყოფაცხ

*გაგრძელება გვ-5.

ყვავილ მუნიციპალიტეტში განხორციელებული ღვაწლები

*დასასრული.

ოვრებო ნარჩენების გატანა. მალე მუნიციპალიტეტს მოემსახურება თანამედროვე - 2 ახალი ნაგავმზიდი.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაიწმინდა და რეაბილიტირდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საირიგაციო სისტემები. გაიცა სასოფლო - სამეურნეო ბარათები. იაფი კრედიტის ფარგლებში გაფართოვდა არსებული და გაიხსნა ახალი საწარმოები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა გამყოფი ხაზისპირა სოფლების მოსახლეობისათვის. გაზიფიცირდა 10 სოფელი, 5 სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი (სამუშაოები მიმდინარეობს ბოჟამსა და თვაურებში), წვეთოვანი რწყვის სისტემები. 10 სოფელში -აშშ განვითარების სააგენტოსთან ერთად დაფინანსდა ინფრასტრუქტურული და სასოფლო-სამეურნეო პროგრამები. გამოსაზამთრებლად სახელმწიფოსგან ყოველწლიურად 555 ოჯახი იღებს 200 ლარიან ვაუჩერს, დაფინანსდა 75 სტუდენტი.

საქართველოს მთავრობა ზრუნავს მეწარმეობის განვითარებასა და მოსახლეობის დასაქმებაზე. პროექტის ფარგლებში "აწარმოე საქართველოში" - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის განვითარების მიზნით,კასპის მუნიციპალიტეტში დაფინანდა სხვადასხვა პროექტი. მიღებული დაფინანსებით გააფართოეს და წამოიწყეს ბიზნესი, შექმნეს ახალი სამუშაო ადგილები.

კასპში გაიხსნა მაღალტექნოლოგიური, მიკრობიოლოგიური საწარმო "ჯეოფერტი", რომელიც ეკოლოგიურად სუფთა ბაქტერიულ, ჰუმანურ, ორგანო-მინერალურ სასუქებს აწარმოებს. საწარმოში ამჟამად 120 ადამიანი მუშაობს, ქარხნის სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ, დასაქმებულთა რაოდენობა გაორმაგდება.

კასპში, კომპანია "ჰაიდელბერგცემენტის" ქარხნის სრული მოდერნიზაციის და კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობაში 100 მილიონი დოლარის ოდენობის დამატებითი ინვესტიცია ჩაიდო.

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება.

დღეის მდგომარეობით მაღალმთიანი რეგიონის მაცხოვრებლის სტატუსი 1 500-ზე მეტ მოქალაქეს მიენიჭა.

ფოტო-მატიანე

,,ახალი ვანთიავლი,, იძიებს ყველაფერი ყურადღებას რეგიონის ყველა-ფერ ფოტო-მასალის შეგროვებას. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - ოჯახებიდან ერთი ადამიანი ყველა ჩვენს მასალებში! გამოგვიგზავნეთ ყველაფერი ფოტოები!

გახლავთ ჩვენი მკითხველები!

ვეძებთ საინტერესო ავტორებს

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ ბავშვობის მოგონებები გახდით სასურველი სტუმარი.

ქველმოქმედება

ქვემო ჭალის კულტურის სახლში გაიმართა კონცერტი, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს არაფრით გამოირჩეოდა სხვა დროს აქ ჩატარებული საზეიმო ღონისძიებებისაგან, რომ არა, მისი განსაკუთრებულად კეთილშობილური მიზანი... ამ კონცერტმა, უფრო სწორად ამ დღეს განხორციელებულმა საქველმოქმედო აქციამ მთელი სოფელი აალაპარაკა და არა მარტო ქვემოჭალელები. კონცერტის მონაწილეებს, ღონისძიების ორგანიზატორებს, სოფლის აქტივის წარმომადგენლებს ერთი დიდი მიზანი და სურვილი ამოძრავებდათ, უნდოდათ გამოეხატათ მორალური და მატერიალური თანადგომა ხუთი მცირეწლოვანი შვილის დედის, ლალი ნახუცრიშვილის მიმართ.

– ჩვენი თანასოფლელი ლალი ნახუცრიშვილი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებასა და თანადგომას, ახალგაზრდა, მოსიყვარულე დედა ხუთ ვაჟიშვილს ზრდის, – განაცხადა ქვემო ჭალის კულტურის სახლის

დირექტორმა მარინე ყარანაშვილმა, – ამ კეთილშობილური მიზნის განსახორციელებლად მთელი სოფელი მონაწილეობდა და სასურველი შედეგიც იქნა მიღწეული, კონცერტიდან მიღებული თანხა გადაეცა გაჭირვებულ დედას. ისიც უნდა გითხრათ, რომ კულტურის სახლის კოლექტივი, სოფლის აქტივისტები და არა მხოლოდ ისინი მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოთქვამენ მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების მიერ ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისა და ფინანსური დახმარებისათვის, კერძოდ, სწორედ მათი ინიციატივით მოხერხდა და ჩვენს კულტურის სახლს ამშვენებს საკმაოდ ძვირად ღირებული და ლამაზი ფარდა, რაც რასაკვირველია, დიდი ენთუზიაზმითა და შემოქმედებითად განგვაწყობს.

საქველმოქმედო კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა, სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერა, ქართული ცეკვა და ლექსი... მაყურებლის წინაშე წარდგნენ ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ / ხელმძღვანელი ნინო პავლიაშვილი / "სხვილოს" მოცეკვავეები. მაყურებლები მოხიბლეს ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრის /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ აღსაზრდელებმა: გიორგი, ნიკა და ლუკა ოქროპირიძეებმა, აგრეთვე, თიკა ობგაძემ, ელენე პაპუაშვილმა და მარი კარბელაშვილმა. მღეროდა ანსამბლი "საამილახვრო" /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ ძმები ხელაშვილების შემადგენლობით. მონაწილეობდნენ აგრეთვე, ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრის /ხელმძღვანელი თამარ საჩალელი/ აღსაზრდელები: თორნიკე, თამარ და ბარბარე საჩალელები, თამარ მაისურაძე, ლანა და ბარბარე ისერგიშვილები, სალომე ნონიკაშვილი და სალომე ბათხაძე... მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსი "უფლისციხესთან" მხატვრულად წაიკითხა გიორგი ოქროპირიძემ, ქართული საესტრადო სიმღერები შეასრულეს და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს კულტურის სახლის ლოტბარმა გიორგი ხასიშვილმა და მისმა აკომპანიატორმა თამარ საჩალელმა. დარბაზი ოვაციებით, ტაშით შეხვდა კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანების დირექტორის მიხეილ ქოსაშვილის გამოსვლას, რომელმაც სიმღერა მიუძღვნა მრავალშვილიან დედას, ლალი ნახუცრიშვილს.

საქველმოქმედო კონცერტს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, გალობის, ნათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, სოფლის აქტივის წარმომადგენლებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას ერთიანობის, სახელმწიფოებრივად აზროვნებისათვის, ამასთანავე მან იმედი გამოთქვა, რომ კარგი იქნება, თუ ანალოგიური საქველმოქმედო კონცერტის გამართვისათვის სხვა კულტურის სახლების აქტივისტებიც იზრუნებენ...

ღონისძიებას უძღვებოდა ქვემო ჭალის კულტურის სახლის მეთოდისტი ნინო აბულაძე.

ეკა ყაზარაშვილი

საქართველოში, პოლიფონიური სიმღერებით მსოფლიოში ცნობილ ქვეყანაში, მომღერალი ოჯახები ყოველთვის მრავლობდა...

კასპელი ვასილ და ეკატერინე ყაზარაშვილების ოჯახიც სიმღერის მადლით სუნთქავდა. ამ ოჯახიდან მღეროდა სამივე შვილი – მანანა, ჯემალი, გია (ვია "ფანტელი"). ჯემალის მეუღლე ნ. მეზვრიშვილიც, მუსიკოსი, პედაგოგად წლობით მუშაობდა, კარგად მღერის გიას მეუღლეც – მ. ნოზაძე. მაგრამ გიასა და მაკას აღზრდილი ეკა ბავშვობიდან დღემდე გვაოცებს ნიჭით, არჩევანით, ჯილდოებით...

ეკა ყაზარაშვილი 1994 წელს, კასპში, №1 საშუალო სკოლასა და მუსიკალურ სკოლაში სასწავლებლად ერთდროულად შევიდა. 2001 წელს კასპის სამუსიკო სკოლის 40 წლის იუბილეზე, გამოსაშვებ კონცერტზე 20 მოსწავლე წარდგა 40 ნომრით, სირთულით კი მათგან 3 ნომერი გამოირჩეოდა – როულისა და რზაევის კონცერტები, ასევე შოპენის მე-2 ნოქტიურნი... კლასიკური მუსიკის "პატარა ვარსკვლავი" – ეკა ყაზარაშვილი (პედაგოგ მანანა სოზიაშვილის აღმოჩენა) ამ სკოლის მარგალიტად ითვლებოდა ჯერ კიდევ მუსიკალური შვიდწლედის დამთავრებისას /2001 /, მაშინ სამუსიკო სკოლის ხანდაზმულ პედაგოგთაგან საანგარიშო კონცერტს ესწრებოდნენ ნელი გრიგოლია და ნანა ვარაზაშვილი. "ერთი საოცრება ის იყო, ბლოკადის დღეებში რომ ლენინგრადში უკრავდნენ შოპენს, მეორე ისაა – კასპში შოპენის მოსმენა რომ შეიძლება" – ბრძანა იმ დღეს ქალბატონმა ნანამ. ნატა ჯიბლაძემ კი, დაარსებიდან 40 წლის მანძილზე სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ასეთი კომენტარით შეავსო რეპლიკა – "შოპენის ნოქტიურნი კონსერვატორიის დონეა!" ეს ფრაზა ეკას ნიჭის დიდი აღიარებაც იყო და დრომ ამ აღიარების ჭეშმარიტებაშიც დაგვარწმუნა კასპელები. არავინ იცოდა, მაშინ გაჟღერებული სიტყვა "კონსერვატორია" რა საოცრებით დაბრუნდებოდა ეკას ბიოგრაფიაში...

მაშ, ასე, 2001 წელი, გზა შოპენით დაიწყო...

2001-2003 წლებში ეკამ თბილისის

ანდრია ბალანჩივაძის სახელობის მესამე სამუსიკო სასწავლებლის ლიცეუმი, ხოლო 2007 წელს აქვე საფორტეპიანო ფაკულტეტიც დაამთავრა, შემდეგ იყო ახდენილი ოცნება – კონსერვატორია (2007-2011). აქ – ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მუსიკისა და კომპოზიციის ფაკულტეტზე , ეკა მუსიკის ბაკალავრიც გახდა, ხოლო 2013 წელს კონსევატორიის საეკლესიო მუსიკოლოგიის მაგისტრიც...

ჯილდოები კი თერთმეტი წლისამ "დაჭაშნიკა" ეკამ და მისი "ძველი კოლექციიდან" უძვირფასესი იყო 1998 წლის სარესპუბლიკო კონკურსის ლაურეატობა /შეასრულა ბახის ორხმიანი ინვენცია და გრიგის "კობოლდი"/ და 1999 წლის – ნორჩ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის დიპლომი... ეკა იყო დელფიური მოძრაობის მრავალგზის პრიზიორიც... იზრდებოდა ეკა როგორც მუსიკოსი და მატულობდა ჯილდოებიც, ერთიმეორეზე უკეთესი, ღირსეული, საპატიო, საამაყო... თავმდაბლობა და შრომისმოყვარეობა ეკას ღირსებაა... სულ ცოტა ხნის წინ ისეთი სასიხარულო ჯილდო მიიღო, რომ... თუმცა, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ავუყვეთ ზეციურ საგალობლებამდე მიმავალ კიბის ჰაეროვან საფეხურებს...

ეკას ინიციატივა – აქტივობებს სიმრავლის გამო გამოვტოვებ... ჯილდოების არასრულ ჩამონათვალში კი საყურადღებოა 2010 წელს სარაჯიშვილის კონსერვატორიაში საერთაშორისო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია – კონკურსის დიპლომი ნომინაციაში "საუკეთესო დისკუსია", 2011 წელს კი აქვე, უკვე პირველი საერთაშორისო მასშტაბის

გზა შოპენიდან ცვალოობლიბამდე

ასეთივე კონკურსის დიპლომი ნომინაციაში "ბაკალავრის საუკეთესო მოხსენება"...

2016 წელს ფონდმა - "ქართული გალობა" დააფუძნა არტემ ერქომაიშვილის სახელობის ქართული გალობის შემსრულებელთა და მკვლევართა საერთაშორისო კონკურსი. წელს ჩატარებულ ამ პირველ კონკურსზე დაწესდა სოლიდური პრემია სამ ნომინაციაში. გამარჯვებულთა დაჯილდოება მოეწყო 22 ოქტომბერს, არტემ ერქომაიშვილის დაბადების დღეს, ქ. თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამეჯლისო დარბაზში. პირველ ნომინაციაში – "საუკეთესო ფუნდამენტური კვლევა" – გაიმარჯვა დავით შუღლიაშვილმა კრებულით "ქართული სამგალობლო სკოლები და რვა ხმის სისტემა", მეორე ნომინაციაში – "საუკეთესო გამოყენებითი კვლევა" – გაიმარჯვა ზაალ წერეთელმა კრებულით "გალობანი სინანულისანი." მესამე ნომინაციაში – საუკეთესო ახალგაზრდული სამეცნიერო პუბლიკაცია – " ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი ქართულ საშემსრულებლო ტრადიციაში /ისტორიული, თეორიული და საშემსრულებლო ასპექტები / – გაიმარჯვა ეკა ყაზარაშვილმა. სამივე გამარჯვებულმა მიიღო სპეციალური პრიზი და დიპლომი. გარდა ამისა, გაიცა ფულადი პრემიაც: პირველ და მეორე ნომინაციებში ოთხ-ოთხი ათასი ლარი, ხოლო მესამე ნომინანტმა – ეკა ყაზარაშვილმა მიიღო 2 ათასი ლარი!..

ქართულ საგალობლებზე ეკა ყაზარაშვილი 2012 წლიდან აქვეყნებს სტატიებს ელექტრონულ ჟურნალში "მუზიკ ენ გეორგია"...

წინაა დოქტურანტურაში სწავლის სამი წელი და იმედია ჯილდოებიც...

ვინ იცის, რით გაგვახარებს საეკლესიო საგალობელთა მკვლევარი და მომავალი დოქტორი. და ვინ იქნება ის ბედნიერი სასიძო, ჯვრისწერის გვირგვინს ეკასთან რომ დაიწყვილებს!.. ამ კითხვებს უფალთან ერთად, მომავალი უპასუხებს...

თამარ გაბოძე.

ქალაქის საბავშვო ბაღების ისტორია

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა მორიგი სამეცნიერო სესია, სადაც მოწვეული იყვნენ ქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღების ყოფილი და ამჟამინდელი გამგეები, აღმზრდელები, მშობლები, კურსდამთავრებულები, ინტელიგენციის წარმომადგენლები... ღონისძიების ორგანიზატორები: კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

სამეცნირო სესია შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. შემდეგ სესიის დღის წესრიგის მთავარ თემაზე – "ქ. კასპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ისტორია", ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მუზეუმის განყოფილების გამგე ნანა მერებაშვილი. მან თავის გამოსვლაში დაწვრილებით მიმოიხილა იმ აღმზრდელ-პედაგოგთა მოღვაწეობა და დამსახურება, რომლებიც ქმნიდნენ (70- წლებიდან მოყოლებული) კასპის სკოლამდელი დაწესებულებების ისტორიას.

სესიის მონაწილენი მიესალმნენ წარსულში დამსახურებულ გამგეებსა და აღმზრდელ-მასწავლებლებს, მათ შორის იყვნენ კასპის №3 საბავშვო ბაღის გამგე მარინა ზედგენიძე, ცემენტის ქარხნის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე ელისო ღვინაძე, №5 საბავშვო ბაღის გამგე ლია ნიპარიშვილი, ღირსების ორდენის კავალერი, კასპის №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი იზოლდა ბახუაშვილი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელიც ძალიან თბილად მიესალმა საბავშვო ბაღების ყოფილ და ამჟამინდელ გამგეებს, აგრეთვე აღმზრდელებსა და მშობლებს, დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული, აღდგენითი პროექტები და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა, აღმზრდელ-მასწავლებლებს კი თანადგომას შეჰპირდა. სესიაზე სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს ამ აქტუალური თემის განხილვისათვის.

ღონისძიების მიმდინარეობისას საგანგებოდ მოწყობილ მონიტორზე აჩვენებდნენ (მოამზადა ხატია ხორგუაშვილმა) საბავშვო ბაღების განვლილ ისტორიას, დარბაზში გამოფენილი იყო თვალსაჩინო ფოტომასალაც. შემდეგ სესიის მონაწილეებს მიესალმნენ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვები: სალომე სამხარაძე, ანზორ დალაქიშვილი, ლუკა კორხელი.

მასწავლებელთა სწავლის ასამაღლებლად

ნოემბრის შუა რიცხვებში ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მე-8 საანგარიშო ყრილობა, სადაც დელეგატებს სპმთპ-ს პრეზიდენტმა ქალბატონმა მაია კობახიძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა: "სპმთპ-ს ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა განვლილ პერიოდში ნაყოფიერად იშრომა, გვაქვს სერიოზული წარმატებები და წინსვლა დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვის მიმართულებით, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, უნდა ვიბრძოლოთ დასახული ამოცანების შესასრულებლად და ორგანიზაციის განვითარებისათვის".

ცნობილია, რომ ძლიერი საზოგადოების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ განათლებული მოქალაქეების აღზრდით. ამდენად, მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანი და უდიდესია. ამისათვის კი, აუცილებელია მათი დაფასება, პროფესიული პრესტიჟის ამაღლება, უზრუნველყოფა სამუშაო პირობებით, მათდამი ნდობის ამაღლება და პროფესიული ავტონომიურობა, აკადემიური თავისუფლება.

ამ მიმართულებით სპმთპ-ს კასპის რაიონული საბჭო თავის შესაძლებლობებს თანმიმდევრულად იყენებს, რადგან "ძლიერ პროფკავშირს ქმნიან პიროვნულად თავისუფალი ადამიანები, ერთიანი პროფკავშირული ორგანიზაცია კი, თითოეული წევრისაგან შედგება".

სპმთპ-ს კასპის რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) ჯერ კიდევ 2016 წლის დასაწყისში სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისას მიზნად დაისახა თითოეულ მასწავლებლამდე მისვლა და მათთან დიალოგი, დარწმუნება იმაში, თუ რატომ უნდა იყოს პროფკავშირის წევრი, თითოეული წევრი წარმატებული მასწავლებლის დაჯილდოება, დაფასება, მადლობის გადახდა ერთად დგომისათვის. მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში კასპის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წარმომადგენლები პირადად იმყოფებოდნენ ქალაქის ნომერ პირველ, ოკმის, ფერმის, სასირეთის, დოესის, ხოვლის, ზემო ხანდაკის საჯარო სკოლებში და პედაგოგიურ კოლექტივებთან გაიმართა საქმიანი საუბრები. სწორედ ამ საინტერესო შეხვედრებზე მოხდა წარმატებული და გამორჩეული პედაგოგების დაჯილდოება, მადლობის სიგელებთან ერთად წარმატებულ პედაგოგიურ კოლექტივებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრებიც, ხოლო არაწევრ მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, გაწევრიანდნენ პროფკავშირში.

მადლობის სიგელები გადაეცათ მასწავლებლებს, რომელთა შორის არიან ახალქალაქის საჯარო სკოლის პედაგოგი ლეილა ვარდოშვილი, კასპის პირველი საჯარო სკოლის ყოფილი მასწავლებელი იზაბელა კობიაშვილი, ამავე სკოლის მასწავლებელი მანანა ყაბანაშვილი, ოკმის საჯარო სკოლის მასწავლებელი თამარ სიდამონიძე, ფერმის საჯარო სკოლის მასწავლებელი თამარ ალიევი, სასირეთის საჯარო სკოლის მასწავლებელი დალი ჯანეზაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების პედაგოგები მანანა სოზიაშვილი, ლეილა თათანაშვილი და თეა კორინთელი.

იმედია, ასეთი აქტიური, თანმიმდევრული ურთიერთთანამშრომლობა პროფკავშირული ხაზით კიდევ უფრო ინტენსიური და მიზანდასახული გახდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, რადგან რაიონული ორგანიზაცია ამისათვის ყველაფერს აკეთებს.

გიორგი კაციაშვილი საქართველოს ფალავანია!

წლევანდელი 17 დეკემბრის დილა შიდა ქართლში ხვავრიელი ქათქათა თოვლით გათენდა, ბუნებრივი ნათელი თითქოს სიწმინდესა და სიკეთეს მოასწავებდა, მხარე ერთგვარი სასწაულის მოლოდინში გაყურსულიყო.

ჩვენს გიორგი-ბიჭს ბარბარობის დღის მადლმა ზღაპრული ძალა შემატა, დევგმირებთან ბრძოლისთვის განაწყო, შემწედ მოევლინა წლის სპორტული სეზონის ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაზე – საქართველოს ფალავნობაზე. მას დედაქალაქში მშობლიური მხარისა და რაიონის ღირსება უნდა დაეცვა.

19 წლისამ შარშან პირველად მოსინჯა ძალები ფალავნობაზე. თავის წონაში (80 კილოგრამი) გამარჯვება იკმარა. გარკვეული და გასაგები მოსაზრებით მძიმეწონოსნებთან აღარ იპაექრა. ალბათ, იფიქრა, გოლიათებთან დაჭიდ(ილ)ებაში რას გავაწყობო.

და, აგერ, მეორე ცდაზე, აუხდა, აუსრულდა მცდელობაცა და ჩანაფიქრიც, სურვილიცა და მონდომებაც. გაუმართლდა და ეგაა! არავის დაუტოვა საბაბი სათქმელად, რომ შემთხვევით გაფალავნდა.

საქართველოს ფალავნობა 1928 წლიდან ტარდება. ეს 69-ე პაექრობა იყო. ბევრი დასაჯერებელი და დაუჯერებელი ამბავი მოხდა წინა შეჯიბრებებში... არაერთმა მსოფლიო სახელის მქონე ქართველმა მოჭიდავემ ისე გაასრულა სპორტული კარიერა, ეროვნულ-ტრადიციულ ფალავნობაზე სანუკვარი მიზანი ვერ აისრულა, ზოგმა რამდენიმე ფინალური ორთაბრძოლაც კი გამართა, მაგრამ საწადელი ხელიდან ჩიტივით გაუფრინდა.

და, აი, 20 წლის ჭაბუკი, გიორგი კაციაშვილი, მოგვევლინა ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტად მანათობელ ვარსკვლავად (გაიხსენეთ: ოლიმპიურმა ჩემპიონმა და 1981 წლის ფალავანმა, შოთა ხაბარელმა, სატელევიზიო რეპორტაჟის დროს როგორ შეამკო).

ბატონებო! მის გამარჯვებას ის დაარქვით, რაც გნებავთ: უდიდესი სენსაცია, საოცარი სიურპრიზი, ფანტასტიკური მიღწევა!.. ფაქტი კი ერთია – რეალური და ისტორიული, ხანგრძლივი მოლოდინის ბედნიერ დასტურად რომ გამოდგება, კასპელი ფალავნები 1994 წლის შემდეგ ამგვარ სიმაღლეს ვეღარ იპყრობდნენ. ამას უფრო მძიმეწონოსნების მხრიდან მოველოდით, რომლებიც ჩვენში თითქოს გაქრნენ საჭიდაო კაბადონიდან. და, აი, მსუბუქი წონოსნის ჩუბინური გასროლა, რომელიც ახლო მომავალში ოლიმპიურ კვარცხლბეკამდე მიაღწევს.

2016 წლის საფალავნო გამარჯვება შეგვახსენებს ჩვენებურ ვაჟკაცთა სახელებსაც, ვისაც განვლილ პერიოდში დაუდგამს ფალავნის გვირგვინი: ამირან ვარდოშვილი (1958), შოთა გულიაშვილი (1970, 1971), ოთარ ყურაშვილი (1973, 1975) და ივანე გამხიტაშვილი (1994).

დიახ, სრული 22 წელი ველოდით მზეჭაბუკს, ფალავანთა ფალავნობა რომ დამშვენდებოდა, ქართული სპორტის ისტორიაში კუთვნილ თავფურცელს რომ დაიბევებდა, მშობლიური რაიონის სპორტის მატიანეში ტრადიციულობის ძველ-ახალ საამაყოდ სათქმელს რომ შემოგვთავაზებდა!

შარშანდელი 13 დეკემბრის "სანახევრო" გამარჯვებისაგან განსხვავებით, გიორგი-ბიჭმა ამჯერზე 90, 100 კილოგრამისა და მძიმე წონის კატეგორიებში გაპირველებულებთან რკენა, შებმა, ჭიდ(ილ)აობა, ბუღრაობა, ბრეშა გაბედა, გარისკა. აკი საამისოდ ხელდამსხმელმა მწვრთნელებმა – მამა-შვილმა მამულაშვილებმა – შეაგულიანეს, შეუძახეს და მანაც, იმედის ვაჟკაცმა, გაიწია, თავი გაიმეტა და, მერე, როგორ, თავისი წილი ლელო ბოლომდე გაიტანა, ქარბორბალასავით და ტორნადოსავით შეიჭრა ასაკითა და წონით მეტი დევგმირების სამყოფელში, უკლებლივ ყველას სძლია და საფალავნო გზაზე აღზევდა!

აფერუმ უფროს-უმცროსი მამულაშვილების დუეტის ასეთ გადაწყვეტილებას, გაბედულებას! შეუმცდარად უთქვამს ქართველ კაცს, - ცდა ბედის მონახევრეაო! ჰოდა, შეგირდ-მწვრთნელთა ლამის 12-წლიანმა გარჯამ და მცდელობამ ხვავიც მოიმკო და ბარაქაც: ჭაბუკმა ფალავანმა საქართველოს დედაქალაქში 2-ოთახიანი ბინა იფეშქაშა, რასაც ზედ დაურთო შეჯიბრების საწყის წონაში პირველობისათვის განკუთვნილი ჯილდო (3000 ლარი). უთუოდ აღსანიშნავია ფაქტი: სწორედ იგი მიიჩნიეს საქართველოს 2016 წლის ღია აბსოლუტური ფალავნობის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ და ფინალური ორთაბრძოლის გამართვის წინ მას საგანგებო პრიზი – სახელოვანი მოჭიდავის, დურმიშხან ბერუაშვილის, სახელობის თასი – აღტაცებული და მხარდამჭერი პუბლიკის მხურვალე ოვაციების თანხლებით გადასცა მისმა ვაჟიშვილმა, ელგუჯა ბერუაშვილმა, ანუ – ცხოვრებაში ყველაზე საეტაპო ორთაბრძოლა რომ წაეგო კიდეც, ტექნიკურობაში ვერავინ შეეცილებოდა.

მამა-შვილმა მამულაშვილებმა, ნუგზარმა და იოსებმა, გუშინ სახელიანმა მოჭიდავეებმა და დღეს კი, დასტურ, დამსახურებულმა ოსტატ-მწვრთნელებმა, თბილისის "ოლიმპიური პარკის" დარბაზში რაც ინერვიულეს და ოფლი ღვარეს, აბა, ადრინდელთან რა შესადარებელია. დედაქალაქიდან მეტეხში გამობრუნებული ბედნიერი და უზომოდ გახარებული ამაგდარი მამა-შვილის მობილური ტელეფონები, თუ დამერწმუნებით, წუთითაც არ დადუმებულა – უწყვეტად იღებდნენ კოლეგების, ნაცნობების, მეგობრების, გულშემატკივრების წრფელ მილოცვებს...

ხარობს ჭაბუკი ფალავნის მშობლიური სოფელი ქვემო გომი. იქაურები ადრეც ამაყობდნენ და ამჟამადაც თავმომწონეობენ კაციაშვილების გვარის სახელოვანი მოჭიდავეებით: ძმებმა, შოთა და ლავრენტი კაციაშვილებმა და ამის ვაჟიშვილებმა, შოთამ და გიამ, ჭეშმარიტად საგვარეულო დინასტია და "კაციაშვილების სკოლა" შექმნეს რაიონის ჭიდაობის ისტორიაში.

ახლა ახლების ჯერია!

გიორგი კაციაშვილი, დასტურ, ახალი ჯერის წარმომადგენელია, ტრადიციულობის შემფერი და გამცოცხლებელი ლომჭაბუკია. მისი ახალთაობელობა, ახალუხლობა სახვალიო იმედია, პერსპექტიულობის საგზალ-ჩირაღდანია მთელი სოფლისათვის, სადაც ვაჟკაც-მოჭიდავეთა სახელი სხვებსაც ჰქონდათ და აქვთ: გელა ბერიაშვილს, გიორგი ბერიძეს, ვასილ მამულაშვილს, კაკო მარიდაშვილს, ზაქარია ნატროშვილს, აკაკი ხითარიძეს...

ჩვენებური კაცისათვის დამახასიათებელი სიამაყით უნდა ითქვას: ყველა ევროპული და მსოფლიო გამარჯვება ენაცვალოს მშობელი ქვეყნის პირველი მოჭიდავის ტიტულს – ფალავნობას!

დამსახურებული გამარჯვება გაპიროვნებულია ფრიად უმრწემეს ასაკში: გიორგი დაბადებულია 1996 წლის 21 აპრილს. თანაც, უდაბლესი წონითი კატეგორიიდან, როცა მეტოქეთა დაბალ-მაღალი წონების სხვაობა 20-40 კილოგრამი და მეტია! მეტიც, მიღწეულია მოწინააღმდეგესთან, 2015 წლის ფინალი რომ წაგო თბილისის ცირკის არენაზე და, ცხადია, ახლა გაორმაგებული შემართებით აფთრობდა დასახული მიზნის მისაღწევად: საჩხერელი ონისე ბუღაძე ხელწამოსაკრავი, უცადი მოჭიდავე როდია. მახლას, შარშან მის მეტოქეს, პაატა ღვინიაშვილს გაუმართლა იღბალმა (2-გზის ფალავანი ტრავმის გამო გამოეთიშა წლევანდელ შეჯიბრებას) და ახლა კი ახალდაფრთიანებული მართვე გადაეღობა ბევრისნაცად არწივს, ფალავნობის ცის ტატნობზე ატანილ ტახტზე დასაბრძანებლად!

გიორგი კაციაშვილო! აფერუმ შენს ვაკაცობას! უგულითადესი მადლობა შენი ყველა გულშემატკივრის სახელით 2017 წლის საახალწლო აღტაცებისათვის, სიხარულისათვის!

(ავტორის ფოტო)

ა. კალანდაძე.

პ.ს. კაცს ცხოვრებაში ზოგჯერ დიდი სიხარულიცა და დიდი მწუხარებაც თავს ერთდროულად დაატყდება. ასე მოხდა ამჯერადაც, ნუგზარ მამულაშვილს 19 დეკემბერს დედა გარდაეცვალა. ვუსამძიმრებთ ბატონ ნუგზარს.

ვასილ გვიმრაძე საქართველოს ნაკრებში შეიყვანეს



კასპის მესამე საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელი ვასილ გვიმრაძე ბავშვობიდანვე გატაცებული იყო სპორტით, განსაკუთრებით კი, ჭიდაობა იზიდავდა.

ვარჯიში დაიწყო ლავრენტი კაციაშვილის სახელობის კასპის ჭიდაობის სპორტსკოლაში (დირექტორი ალექსანდრე ხუციშვილი), ძიუდოს ჯგუფში. ენერგიული, მონდომებული პატარა მოჭიდავე გამოცდილ მწვრთნელებსაც კი აოცებდა თავისი სპორტული მონაცემებით და სულ მალე "აღიარებული" მოჭიდავე გახდა...

– საქართველოს ჩემპიონატზე ტურნირი არ ჩატარებულა, ვასილ გვიმრაძეს რომ არ მიეღოს მონაწილეობა, – აცხადებს მისი მწვრთნელი ბერდია ნატროშვილი, – პრესტიჟულ პაექრობაში მართალია, მეოთხე, მეხუთე ადგილიც აუღია, მაგრამ მისი გამოსვლები ყოველთვის დადებით, იმედისმომცემ კონტექსტში განიხილებოდა.

ყველაზე ნაყოფიერი და რეზონანსული ვასილ გვიმრაძისთვის წლევანდელი წელია. დიახ, კასპელმა მოჭიდავემ წარმატებით იასპარეზა ამას წინათ დუშეთში გამართულ ჩემპიონატზე და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ქართულ ჭიდაობაში. მერე იყო სამბისტთა შერკინება, სადაც ვასილ გვიმრაძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და როგორც პერსპექტიული მოჭიდავე იგი საქართველოს ნაკრებში შეიყვანეს. ამდენად, ნამდვილად მოულოდნელი არ ყოფილა ამ სამიოდე კვირის წინ მისი კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება, საქმე ის გახლავთ, რომ ვასილ გვიმრაძემ მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. მთელი საქართველო ასახელა, ფინალურ ასპარეზობაში ვასილმა დაამარცხა /"იპონით"/ რუსი სპორტსმენი და წმინდა გამარჯვება მოიპოვა,ამავე ტურნირზე მან სძლია აზერბაიჯანელ და ყაზახ მოჭიდავეებსაც.

ვულოცავთ კასპელ მოჭიდავეს სასახელო მიღწევებს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

ვინ? ვინ? ვინ? ... ვინ? ... ...

შევსებული კითხვარი ამოჭრითა და გამოგვიგზავნეთ ჩედაქციაში.

ხვალინდელი

"ახალი განთიადი" გთავაზობთ კითხვარს. გაგვიზიარეთ თქვენი აზრი, გამოვავლინოთ გამორჩეული პროფესიონალები, შევქმნათ ჩვენი ქალაქის რეალური სურათი. გამარჯვებული ნომინანტები დაჯილდოვდებიან

ჩემი აზრით 2016 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში იყო ----------

2016 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჯასპის ცხოვრებაში იყო ----------

რაიონის ხელმძღვანელი, რომელმაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჯვალი დატოვა, იყო ----------

ჯასპელების ყველაზე საყვარელი ექიმია ----------

ჩემი საყვარელი მასწავლებელია ----------

საბავშვო ბაღში ჩემი საყვარელი აღმზრდელი იყო ----------

2016 წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენია ----------

ჩვენი ქალაქის ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონია ----------

ჩემი აზრით ჯასპის ჯოლორიტია ----------

მომავალ წელს მინდა ჩემს ქალაქში (სოფელში) გაჯეთდეს ----------

2016 წელს ჩემს ოჯახში ყველაზე პოპულარული სადილი იყო ----------

2017 წელს ყველაზე მეტად გამახარებდა ----------

2017 წელს მინდა შევხვდე ----------

ჩემი ნება რომ იყოს ყოველ დღესასწაულზე ----------

მე რომ გამგებელი ვიყო ----------

გვარი, სახელი (სურვილის შემთხვევაში მეცხახელი) -

შევსებული კითხვარი 2017 წლის 14 ივნვრის ჩათვლით მოგვწოდეთ რედაქციაში მისამართზე: ჯასპი, სააკაძის ქ. 68.

ყველაზე გულთბილი ახალ წელს!

გვმოიწერეთ "ახალი განთიადი" და გვიყიდეთ ჩვენი მეგობარი!

წელიწადის მეხუთე დრო

მუსმიკა – წელიწადის მეხუთე დრო ელოდება თქვენ გამოხმაურებას. მოსმენდით ფლეიტაში. მეგვიანით თქვენი ნამუშევრები (ნამომოდგინეთ ელექტრონული ფოსტა) და გაანცანით ინინი ნაზოვადოებას.

მოიხსენე, უფალო, სულნი პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდევენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკვიდრაყვენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა წმიდათა თანა.

შ.პ.ს. "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კურსდამთავრებული

ნინო წერეთელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე გაერთიანების მთავარ სპეციალისტს მარინე შერმადინს დედის

ეთერ ღუდუშაურის

გარდაცვალების გამო.

გივი მელაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს მარინე შერმადინს დედის

ეთერ ღუდუშაურის

გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ჯასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76